



ადმონსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 2 დეკემბერი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
5. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
7. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი. ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს ურბანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ფონდი "კავკასიის ეკოლოგიის" წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო ურბანული განვითარების კუთხით საქართველოში არსებული ვითარება. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემცირების პარალელურად მიმდინარეობს ქალაქების ინტენსიური ზრდა. აუცილებელია ამ პროცესს მომზადებული შეხვედრის როგორც სახელმწიფო, ასევე მოსახლეობა.

ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა (მოქცეულია ხეობაში, რის გამოც არ არის საკმარისი ვენტილაცია) მნიშვნელოვნად აუარესებს ქალაქის

ეკოლოგიურ ვითარებას. თუმცა თბილისის საშუალო ტენიანობის მქონე კლიმატი კარგი შესაძლებლობაა მწვანე არეების გასაფართოებლად და რეკრეაციული ზონების გასაძიერებლად. მიუხედავად ამისა, თბილისის მრავალფეროვანი ლანდშაფტი და წყლის რესურსი ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაშია. ტერიტორიების გაყიდვისა და მშენებლობების ხარჯზე მნიშვნელოვნად მცირდება რეკრეაციული არეები. მშენებლობები მიმდინარეობს დაუგეგმავად და უსისტემოდ, ეკოლოგიური სტანდარტების გათვალისწინების გარეშე. საბჭოთა პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე მწვანე არეალის 13 კვადრატული მეტრი მოდიოდა, დღეს ეს მონაცემი 5,6 კვადრატულ მეტრამდე შემცირებული. თბილისის ფლორა ისტორიულად დიდი ბიომრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. თბილისსა და შემოგარენში 1643 სახეობის მცენარე არის ნაპოვნი. მათ შორის ძალიან ბევრი ენდემურია და რამდენიმე სახეობა წითელ წიგნშიც არის შეტანილი. დღეს არავინ იცის რა მდგომარეობაში ეს სახეობები, რადგან თბილისის ბიომრავალფეროვნების აღწერა საბჭოთა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა.

”კავკასიის ეკოლოგიის” წარმომადგენლის თქმით, თბილისისათვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ურბანიზაციაა, თუმცა არც ამ პროცესის აღრიცხვა არ ხორციელდება. ურბანიზაციას ახლავს ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება, რაც პრობლემატური საკითხია ისეთი ლანდშაპტის მქონე ქალაქისათვის, როგორც არის თბილისი. დედაქალაქში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, მოუგვარებელია ნაგავსაყრელების საკითხი. თბილისში იყო გლდანისა და იალგუჯას ნაგავსაყრელები, რომლებიც თითქოს დაიხურა, მაგრამ ამ ადგილებში წვის პროცესი მაინც მიმდინარეობს და ხდება ემისიების გამოყოფა. თბილისში დაახლოებით 60 მეწყერსაშიში ზონა არსებობს, თუმცა ამ ადგილების გასამაგრებლად არანაირი სამუშაოები არ ტარდება.

ორგანიზაციის წარმომადგენლმა ისაუბრა ასევე კლიმატის ცვლილებაზე და აღნიშნა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით კლიმატის ცვლილება ყველაზე მძიმედ თბილისზე აისახება. მისი თქმით, აუცილებელია ზემოაღნიშნულ საკითხებზე ურბანული სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ მესამე სამუშაო ჯგუფში ელექტრონულად დაიგზავნება შეხვედრაზე წარმოდგენილი პრობლემების მოკლე მიმოხილვა, რის შემდეგაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ცალკე ჯგუფი, რომელიც დაინტერესებული იქნება ამ საკითხებზე მუშაობით.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრებმა განიხილეს ენერგეტიკული სტრატეგიის მომზადების საკითხი. თანაკოორდინატორის თქმით, იყო საუბარი იმაზე, რომ მესამე სამუშაო ჯგუფის 8 ორგანიზაციას, რომელიც აქტიურად მუშაობდა ხუდონჰესის მემორანდუმზე, ექნებოდა შესაძლებლობა USAID - ის პროექტის ფარგლებში ჩართულიყო ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებაში. ბოლო მომენტში გაუგებარი მიზეზების გამო ფორმატი შეიცვალა და მხოლოდ 5 ორგანიზაცია (ასოციაცია ”მწვანე ალტერნატივა”, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, რეკი, სენი და ენერგოეფექტურობის ცენტრი) იქნა მიწვეული USAID - ის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრის ორგანიზატორებმა დამსწრეებს სთხოვეს იმ ლიდერი ორგანიზაციის დასახელება, რომელიც იმუშავებდა ძირითად ენერგოდოკუმენტზე. რეკმა დაასახელა ირაკლი მაჭარაშვილის კანდიდატურა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომავალი შეხვედრისთვის გადაიდო. ორგანიზატორებმა შეხვედრის მონაწილეებს სთხოვეს მოკლედ

ჩამოყალიბებინათ თავიანთი ორგანიზაციების როლი ენერგეტიკის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. საქართველოს მწავანეთა მოძრაობის აზრით, ენერგეტიკულ სტრატეგიაზე ერთიანი პოზიციის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ თუ დოკუმენტზე მუშაობაში, წინასწარ შეთანხმებული ფორმატის შესაბამისად, არ ჩაერთვება რვავე ორგანიზაცია, მწავანეთა მოძრაობა მუშაობას აღარ გააგრძელებს. ჯგუფის მეორე თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით შესაძლებელია საჭირო გახდეს ღია წერილის მომზადება ენერგეტიკის სამინისტროს სახელზე. თანაკოორდინატორების მოხსენების დასრულების შემდეგ შეხვედრა მწვავე დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია